

საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი



დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2011 წლის 19 დეკემბერს

რექტორი პროფესორი გიორგი მარგველაშვილი

ბოლო ცვლილება შეტანილია

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

2018 წლის 2 თებერვალს

დრამის ფაკულტეტის

საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

ბაკალავრიატის აკადემიური საფეხური

2018 წელი

წინამდებარე კატალოგში მოცემულია ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის შესახებ; წარმოდგენილია პროგრამების დასახელება მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, სწავლის შედეგები, ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა და შეფასების წესი.

კატალოგი განკუთვნილია სტუდენტებისა და ყველა იმ დაინტერესებული პირისათვის, ვისაც სურს, მიიღოს ინფორმაცია საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დრამის ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ.

უნივერსიტეტის მისამართი:

0108, თბილისი,

რუსთაველის გამზირი № 19

ტელ.: 2 93 22 52

ვებ-გვერდი: www.tafu.edu.ge

საკონტაქტო პირები:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი **ანანო სამსონაძე**
- დრამის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი **მარინა ხარატიშვილი**

ფაკულტეტზე სწავლა ხორციელდება სამ საფეხურზე:

- **ბაკალავრიატი** – საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 240 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 4 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი;
- **მაგისტრატურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 120 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 2 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის მაგისტრის ხარისხი;
- **დოქტორანტურა** - საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მოცულობა მოიცავს არანაკლებ 180 კრედიტს; სწავლა ხორციელდება 3 წლიანი სწავლების ვადით და კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაციის დოქტორის ხარისხი;

სარჩევი

საბაკალავრო პროგრამა: საშემსრულებლო–შემოქმედებითი ხელოვნება

კონცენტრაციები:

1. მსახიობი : დრამისა და კინოს მსახიობი
მუსიკალური თეატრის მსახიობი
თოჯინების თეატრის მსახიობი
პანტომიმის თეატრის მსახიობი
2. თეატრის რეჟისორი
3. ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი
4. ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	შესაბამისი დარგის ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის ოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოგადი უნარები, უცხო ენა) და შემოქმედებითი ტური
დასაქმების სფერო	იხ. ქვემოთ კონცენტრაციების მიხედვით
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	<p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა მოიცავს შემოქმედებითი პროფილის სხვადასხვა დარგს (თეატრალური ხელოვნება, აუდიო-ვიზუალური ხელოვნება, ქორეოგრაფიული ხელოვნება, სამუსიკო ხელოვნება).</p> <p>პროგრამის მიზანია ხელოვნების დარგებში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება, პრაქტიკული პროფესიული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, და, ამასთანავე, შემდგომ აკადემიურ საფეხურებზე (მაგისტრატურა-დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელების შემთხვევაში – სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მუშაობისათვის.</p> <p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა სტუდენტთა ინდივიდუალურ შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სწავლებაზე ორიენტირებული პროგრამაა, რომლის შემადგენელ ასპექტთა შინაარსი და სტრუქტურა ზოგადსაუნივერსიტეტო თეორიული კურსების სწავლებისა და შემოქმედებით პროცესთან დაკავშირებული პრაქტიკული ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული დისციპლინების სინთეზირებას ახდენს. სტუდენტი წარმოადგენს შემოქმედებით პროდუქციას და, ამასთან, ამ პროდუქციასთან დაკავშირებულ საკითხთა პრეზენტაციას. კურსდამთავრებულს ენიჭება ხელოვნების (შესაბამისი დარგის მითითებით – მაგ., თეატრალური, სამუსიკო, ქორეოგრაფიული...) ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.</p> <p>საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნების საბაკალავრო პროგრამა შემოქმედებით-საშემსრულებლო პრაქტიკაზე</p>

	<p>ორიენტირებული აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამაა, რომლის მიზანია ხელოვნების შესაბამისი დარგის პროფესიონალი კადრის (დამდგმელი რეჟისორი, მსახიობი, დირიჟორი, დამდგმელი ქორეოგრაფი) მომზადება.</p> <p>პროგრამის განსაკუთრებულობა ის არის, რომ მისი სტრუქტურა შედგება ძირითადი სპეციალობის შესაბამისი პრაქტიკულ-შემოქმედებითი და თეორიული მოდულებისა (მინიმუმ 180 კრედიტი) და ზოგადსაუნივერსიტეტო თუ თავისუფალი კომპონენტებისგან (ჯამში - საშუალოდ 60 კრედიტი), რომელთა კომბინაცია (მინიმუმ 240 კრედიტი), საბოლოოდ, იძლევა პროგრამით გათვალისწინებულ სასურველ შედეგს.</p>
შედეგები	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - ხელოვნების სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება;</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - ხელოვნების სფეროსათვის დამახასიათებელი და ასევე ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p> <p>გ) დასკვნის უნარი - ხელოვნების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.</p> <p>ე) სწავლის უნარი - საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;</p> <p>ვ) ღირებულებები - ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.</p>

<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p>
<p>სასწავლო პროცესის მიმდინარეობა</p>	<p>თითოეული სემესტრის ხანგრძლივობა შეადგენს 20 (15 სასწავლო-სააუდიტორიო და 5 სასესიო (მათ შორის - 4 კვირა ძირითადი, ხოლო 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის) კვირას). სასწავლო-სააუდიტორიო 15 კვირა ეთმობა მეცადინეობებისა და შუალედური გამოცდების ჩატარებას, ხოლო სასესიო 5 კვირა ეთმობა დასკვნითი/ფინალური გამოცდების (როგორც ძირითადი, ასევე-დამატებითი) ჩატარებასა და აკადემიური დავალიანებების აღმოფხვრას.</p> <p>საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმა აგებულია ECTS სისტემით. ბაკალავრიატის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სწავლების 8 სემესტრს – 240 კრედიტს.</p> <ul style="list-style-type: none"> - ერთი აკადემიური წელიწადი მოიცავს 40 კვირას (ამათგან 30 სასწავლო – 10 სასესიო), დღეში 8 საათიანი დატვირთვით. - თითოეული სემესტრის ხანგრძლივობაა 20 (15 სასწავლო-სააუდიტორიო და 5 სასესიო (მათ შორის - 4 კვირა ძირითადი, ხოლო 1 კვირა დამატებითი გამოცდებისთვის) კვირა) - სტუდენტის წლიური დატვირთვა (სრული დროით): 1500 საათი. - სტუდენტის კვირეული დატვირთვა: 40 საათი. - საკონტაქტო დატვირთვა კვირაში: 20 საათი. - 1 კრედიტი ტოლია 25 საათის.
<p>შეფასების სისტემა</p>	<p>საბაკალავრო პროგრამის შეფასება მრავალკომპონენტია, ტარდება საკრედიტო სისტემის შესაბამისად და მოიცავს 100% (ქულას), დადებითი ქულების რანჟირების და კრედიტების დაგროვების პრინციპით.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების კრიტერიუმები დაკავშირებულია დისციპლინების ინდივიდუალური შესწავლის რეზულტატებთან. • საბოლოო შეფასება ზოგადად ნაწილდება შემდეგი სქემით: <ul style="list-style-type: none"> I დასწრება – ჩართულობა – მაქსიმუმ 20 ქულა II კრეატიული აქტივობა – მაქსიმუმ 20 ქულა III შუალედური გამოცდა – მაქსიმუმ 20 ქულა

	<p>IV ფინალური გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა საბოლოო შეფასება – მაქსიმუმ 100 ქულა შუალედური და ფინალური გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა.</p> <p>ფინალურ გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება თუ შუალედური შეფასების სამივე კომპონენტის ჯამი (დასწრება, აქტივობა, შუალედური გამოცდა) შეადგენს არანაკლებ 24 ქულისა (60-დან). შუალედური გამოცდის და დასკვნითი გამოცდის (თითოეულის) დადებით შედეგად ჩაითვლება სტუდენტის მიერ მიღებულ ქულათა რაოდენობა, რომელიც შეადგენს შეფასებისთვის განსაზღვრულ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის 40%-ზე მეტს (შუალედური გამოცდა - არანაკლებ 9 ქულისა, ფინალური გამოცდა - არანაკლებ 17 ქულისა).</p> <p>პედაგოგი უფლებამოსილია სასწავლო კურსისა და სწავლების კონკრეტული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე, სემესტრული ქულების (60%) რანჟირება მოახდინოს საკუთარი შეხედულებისამებრ და გაწეროს შესაბამისი კურსის სილაბუსში.</p> <ul style="list-style-type: none"> • შეფასების სისტემაში ქულების განაწილების სქემა ასე გამოიყურება:
	შეფასება
	დადებითი შეფასება:
	91-100 A ფრიადი
	81- 90 B ძალიან კარგი
	71-80 C კარგი
	61-70 D დამაკმაყოფილებელი
	51-60 E საკმარისი
	უარყოფითი შეფასება:
	41-50 FX „ვერ ჩააბარა“, სტუდენტს ეძლევა მოცემულ დისციპლინაში საბოლოო გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება
	0-40 F „ჩაიჭრა“, სტუდენტმა კრედიტის ღებისათვის თავიდან უნდა გაიაროს მოცემული დისციპლინის კურსი

აგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია - „მსახიობი“
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი

პროგრამის ოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოდგადი უნარები, უცხო ენა) და შემოქმედებითი ტური
დასაქმების სფერო	თეატრი (შესაბამისი პროფილის); ფილარმონიული დაწესებულება; ტელევიზია – სატელევიზიო დადგმები; შოუ-პროგრამები; პერფორმანსები; გახმოვანების სტუდიები; რადიო; გასართობი ცენტრები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები; კინო-სტუდია.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	<p>დრამის ფაკულტეტის „მსახიობის“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ოთხი პროფილის/სპეციალობის პროფესიონალ – მსახიობს: 1. დრამისა და კინოს მსახიობი; 2. მუსიკალური თეატრის მსახიობი; 3. თოჯინების თეატრის მსახიობი; 4. პანტომიმის თეატრის მსახიობი;</p> <p>თითოეული პროფილი/სპეციალობა შეიცავს სპეციფიკურ ასპექტებს, რაც, განაპირობებს სწავლების შესაბამის თავისებურებებს, თუმცა, მათ აერთიანებთ მსახიობის ხელოვნების სწავლების ერთიანი პრინციპი, რომელიც ხორციელდება ყოველი სეგმენტისათვის ნიშანდობლივი და აუცილებელი მეთოდოლოგიით. მსახიობის აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებასა და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია მსახიობის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნაზე და ქმნის მსახიობის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას. მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ნაწყვეტების, სპექტაკლების) და დამამთავრებელი, შემაჯამებელი სპექტაკლის წარმოდგენით.</p>

	<p>„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას.</p> <p>„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური მსახიობი ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული სპეციფიკური სპეციალობით (დრამისა და კინოს მსახიობი, მუსიკალური თეატრის მსახიობი, თოჯინების თეატრის მსახიობი, პანტომიმის თეატრის მსახიობი), რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს მსახიობის პროფესიის ძირითადი ელემენტები, შესძინოს საბაზისო ცოდნა. გაუკვალოს გზა მსახიობის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრული სახის შექმნისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიული ჩვევების – მათ შორის სცენური გარდასახვისა და წარმოდგენა - გათამაშების – ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. ამდენად, პროგრამის თითოეული მოდული, კურსი თუ სხვა კომპონენტი ემსახურება აღნიშნული მიზნის განხორციელებას (იხ. ქვემოთ).</p> <p>აგრეთვე, პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე მსახიობის აღზრდას, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის როგორც (შესაბამისი პროფილის) თეატრალურ სცენაზე, ასევე შოუ-სანახაობებში, ტელევიზიისა და კინემატოგრაფში, ნებისმიერ წარმოდგენასა და პერფორმანსში მონაწილეობისათვის.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს თეატრალური ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სათეატრო ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: იცის სცენაზე საჯარო მარტოობის, პარტნიორთან ურთიერთობის, სცენაზე ორგანული მოქმედების, ვერბალურ-პლასტიკური მოქმედების სწორად წარმართვა და მისი დაქვემდებარება მოცემული ამოცანისადმი. იცის, როგორ შექმნას სასცენო გმირის</p>

	<p>- პერსონაჟის მხატვრული სახე, იცხოვროს და იმოქმედოს მისი მსოფლმხედველობის ემოციური და ფიზიკური თვისებების შესაბამისად. იცის როლზე დამოუკიდებელი მუშაობა, რეჟისორთან (როგორც დამდგმელ რეჟისორთან, ასევე სარეჟეტიციო – რეჟისორ – რეჟეტიტორთან) თანამშრომლობა.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს როლის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, სცენაზე ორგანული მოქმედების უნარი, აქვს პარტნიორთან, შემოქმედებით ჯგუფთან/კოლექტივთან ურთიერთობის უნარი. აქვს დამდგმელ რეჟისორთან და რეჟისორ–რეჟეტიტორთან მუშაობის უნარი. აქვს მაცურებელზე ემოციური ზემოქმედების უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p> <p>გ) დასკვნის უნარი - დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ–შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვის უნარი. შეუძლია თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი (ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, დამდგმელი რეჟისორის მხატვრული ჩანაფიქრი და სხვ.) მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია–კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით და სადადგმო კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, მაცურებელთან. აქვს ამ უკანასკნელთან ბილატერალური კავშირის უნარი. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სათეატრო და კინო ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. შეუძლია კომუნიკაცია როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ დონეზე. აქვს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ–ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე.</p> <p>ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების</p>
--	---

პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.

ვ) ღირებულებები - მონაწილეობს თეატრალური და კინო ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, სასცენო როლებს, მხატვრულ სახეებს, სანახაობრივ ელემენტებს და სხვ. ადეკვატურად აფასებს თეატრალური ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.

დარგობრივი / პროფესიული კომპეტენციები:

1. სცენაზე საჯარო მარტოობის უნარი
2. პარტნიორთან ურთიერთობის უნარი
3. სცენაზე და გადასაღებ მოედანზე ორგანული მოქმედების უნარი
4. სასცენო და ეკრანული გმირის მხატვრული სახის შექმნის უნარი
5. როლზე დამოუკიდებელი მუშაობის უნარი
6. რეჟისორთან თანამშრომლობის უნარი
7. როლის ინტერპრეტაციის უნარი
8. სათეატრო დასთან, გადამღებ ჯგუფთან და მსყურებელთან კომუნიკაციის უნარი
9. სათეატრო და კინო ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ფლობის უნარი
10. მხატვრული სახის გახსნის უნარი
11. თეატრისა და კინოს სპეციფიკის ზოგადი ცოდნა
12. მოვლენათა რიგის მიხედვით მოქმედების უნარი
13. გამჭოლი მოქმედების მიხედვით სცენური ქცევის უნარი
14. სივრცეში კოორდინაციის უნარი
15. პერსონაჟის ბიოგრაფიის შეთხზვის უნარი
16. პერსონაჟის პლასტიკური სახის შექმნის უნარი
17. პერსონაჟის მიმიკისა და ჟესტის შექმნის უნარი
18. გამართული სასცენო მეტყველების უნარი
19. სცენასა თუ გადასაღებ მოედანზე ბრძოლების: ფარიკაობის, ხანჯლაობის, შუბოსნობის, _ საბრძოლო ხელოვნების ელემენტების დამოუკიდებლად შესრულების უნარი.
20. სცენაზე გადაადგილების, კოორდინაციის, სივრცის შეგრძნების უნარი
21. დახვეწილი მეტყველების უნარი
22. დრამატურგიული ნაწარმოების, პერსონაჟის არსის, ხასიათის ვერბალურად გადმოცემის უნარი
23. ხმის, სუნთქვის რეგულაციის უნარი
24. ისტორიული კოსტიუმებისა და აქსესუარების სწორად გამოყენების უნარი
25. ეთიკისა და ეტიკეტის წესების პარაქტიკული გამოყენების უნარი
26. პიესის ქმედითი ანალიზის უნარი
27. ზეამოცანის მიხედვით მოქმედების უნარი
28. ყურადღების კონცენტრირების უნარი

	<p>29. ტემპისა და რიტმის შეგრძნების უნარი; ტემპო-რიტმის ცვლილების უნარი რიტმის შეგრძნებისა და მის მიხედვით მოქმედების უნარი</p> <p>30. კამერასთან მუშაობის უნარი</p> <p>31. მხატვრული კითხვის უნარი</p> <p>32. თეატრის სპეციფიკის ზოგადი ცოდნა</p> <p>33. თოჯინებისა და მარიონეტების თეატრის სპეციფიკის ზოგადი ცოდნა</p> <p>34. თოჯინებისა და მარიონეტების ტარების უნარი</p> <p>35. პერსონაჟის (თოჯინის) პლასტიკური სახის შექმნის უნარი</p> <p>36. პერსონაჟის (თოჯინის) მიმიკისა და ჟესტის შექმნის უნარი</p> <p>37. მხატვრული სახის გახსნის უნარი პლასტიკის მეშვეობით</p> <p>38. ხასიათის შექმნა პლასტიკის მეშვეობით</p>
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p> <p>ამასთან, „მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, პროგრამის კურსდამთავრებულთა 80% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით, ხოლო 15% სწავლას აგრძელებს მაგისტრატურაში (პროცენტის მაჩვენებლები აქ განპირობებულია იმით, რომ პროფესიონალ მსახიობთა დიდ ნაწილს სურვილი აქვს პრაქტიკულ– შემოქმედებითი მუშაობისა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს შემდგომ აკადემიურ საფეხურს – შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლების მოსაპოვებლად).</p> <p>„მსახიობის“ საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრასა და, უშუალოდ, პროგრამის განვითარების პროცესში მონაწილეობენ, როგორც დამსაქმებლები (რომლებიც, სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად თავად წარმოადგენენ აკადემიურ პერსონალს), ასევე აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (თვითმართველობა) და კურსდამთავრებულები (შემდგომში – მასწავლებლების სახით).</p>

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია „თეატრის რეჟისურა“
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის ოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოდგადი უნარები, უცხო ენა) და შემოქმედებითი ტური
დასაქმების სფერო	თეატრი (დრამატული და სხვა ნებისმიერი პროფილის); ფილარმონიული დაწესებულება; ტელევიზია – სატელევიზიო დადგმები; შოუ– პროგრამები; პერფორმანსები; რადიო; გასართობი ცენტრები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	დრამის ფაკულტეტის „თეატრის რეჟისურის“ აკადემიური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს თეატრის დამდგმელ რეჟისორს, რომელიც ფლობს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. პროგრამა თეატრის დამდგმელი რეჟისორის პროფესიის ფუნდამენტური კანონების შესწავლის შედეგად, უზრუნველყოფს დრამატული და სხვა ნებისმიერი პროფილის თეატრის დამდგმელ რეჟისორად ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეში მოღვაწე პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე. „თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია დამდგმელი რეჟისორის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის დამდგმელი რეჟისორის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის

	<p>შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას. მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ნაწყვეტების, სპექტაკლების) და დამამთავრებელი, შემაჯამებელი სპექტაკლის წარმოდგენით.</p> <p>„თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას. აღნიშნულ კონტექსტში „თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს თეატრალური ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს თანამედროვე თეატრის პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი რეჟისორი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული ცოდნის, როგორც პროფესიული, შემოქმედებითი, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე, არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით პროგრამის ფარგლებში სპეციალობის თავისებურებათა მიხედვით, სტუდენტთა მიღება წარმოებს ორ წელიწადში ერთხელ, დასაქმების ბაზრის მოთხოვნებისა და დაკვეთის გათვალისწინებით 5-6 სტუდენტი. „თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს თეატრის დამდგმელი რეჟისორის პროფესიის ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს თეატრის დამდგმელი რეჟისორის მიერ სათეატრო ხელოვნების არსის გაცნობიერებას, დარგის მთავარი პრინციპებისა და რეჟისურის პროფესიულ-შემოქმედებითი საფუძვლების საბაზისო ცოდნას. პროგრამის მიზანია, აგრეთვე, მის კურსდამთავრებულს გაუკვალოს გზა თეატრის დამდგმელი რეჟისორის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქციის – თეატრალური წმოდგენის, სპექტაკლის შექმნის, შემოქმედებითი პროცესის პროფესიულ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიულ-შემოქმედებითი ჩვევების ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი.</p> <p>თეატრის დამდგმელ რეჟისორს გაცნობიერებული აქვს სათეატრო ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: დაუფლებულია თეატრის რეჟისურის პროფესიულ საფუძვლებს, შეუძლია დრამატურგიული პირველწყაროს თეატრალური ანალიზი, რაც გულისხმობს: პიესაში მომხდარი ამბების ქმედით ანალიზს და მოცემულ</p>
--	--

	<p>პირობებში მოქმედ პირთა ორგანული ქცევის კანონზომიერების დადგენას; პიესის ზემოცანისა და როლების გამჭოლ მოქმედებათა განსაზღვრას. აქვს არგუმენტირებული მსჯელობის, დასკვნების გაკეთების უნარი. შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია, კონცეფციების გამოყენება და შექმნა. აქვს მსახიობთან, სადადგმო კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი, შეუძლია რეპეტიციების წარმართვა, საბოლოო სცენური ნაწარმოების, ანუ ახალი მხატვრული მთლიანობის – სპექტაკლის შექმნა. აქვს მაყურებელთან კომუნიკაციის უნარი. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სათეატრო ხელოვნების სფეროში. აქვს თვითშეფასების უნარი.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს თეატრალური ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. აქვს მსოფლიო კლასიკური სალიტერატურო და დრამატურგიული მემკვიდრეობის აკადემიური ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სათეატრო ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: იცის დრამატურგიული ნაწარმოებისა და ლიტერატურული პირველწყაროს თეატრალურ სცენაზე გადატანის უმთავრესი კანონზომიერებები. აცნობიერებს მსახიობთან, შემოქმედებით კოლექტივთან, თეატრალურ დასთან, შემოქმედებით პარტნიორებთან ურთიერთობის ნიუანსებს. იცის სცენაზე ორგანული მოქმედების მიღწევა, მსახიობის ვერბალურ-პლასტიკური მოქმედების სწორად წარმართვა და მისი დაქვემდებარება მოცემული კონცეფციისა და შემოქმედებითი ამოცანისადმი. იცის, როგორ შექმნას შემოქმედებითი კონცეფცია, თითოეული სასცენო გმირის – პერსონაჟის მხატვრული სახის გათვალისწინებით. იცის სარეპეტიციო პროცესის დაგეგმვა და რეჟისორ – რეპეტიტორთან თანამშრომლობა-ხელმძღვანელობა.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს ლიტერატურული პირველწყაროს, დრამატურგიული ნაწარმოების გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკულად ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, აქვს როგორც შემოქმედებით კოლექტივთან, ასევე თითოეულ მსახიობთან ინდივიდუალური მუშაობის უნარი, სპექტაკლის ფინანსური და კრეატიული ასპექტებით დაგეგმვის უნარი, აქვს რეჟისორ-რეპეტიტორთან, სცენოგრაფთან, კოსტუმების მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, მხატვარ-გრიმიორთან, გამნათებელთან, დეკორატორთან და ა.შ. მუშაობის უნარი. აქვს</p>

	<p>მაყურებელზე ემოციური და ინტელექტუალური ზემოქმედების მიღწევის უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი. გ) დასკვნის უნარი - დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. შეუძლია თეატრალური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი (ლიტერატურული პირველწყაროს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, ავტორისეული ინდივიდუალობა, იკონოგრაფიული მასალები, ავტორის მხატვრული ჩანაფიქრი და სხვ.) მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით და სადადგმო კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, მაყურებელთან, მასმედიასთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სათეატრო ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. აქვს წერიითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება.</p> <p>ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს თეატრალური ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, თეატრალურ წარმოდგენებს/სპექტაკლებს, სანახაობრივ პროექტებს, ელემენტებს, მსახიობებთან ერთად ქმნის მხატვრულ სახეებს და სხვ. ადეკვატურად აფასებს თეატრალური ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p> <p>დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. რეჟისურის პროფესიული საფუძვლების ფლობა 2. სპექტაკლის შექმნის უნარი 3. მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაცია 4. მიზანსცენისა და კომპოზიციის აგების უნარი
--	--

	<ol style="list-style-type: none"> 5. დრამატურგიული პირველწყაროს თეატრალური ანალიზი 6. შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა 7. ჟანრული მრავალგვარობის სტრუქტურული ცოდნა 8. თეატრის სპეციფიკის ზოგადი ცოდნა 9. სათეატრო ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა 10. შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი 11. რეპეტიციების წარმართვის უნარი 12. ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი 13. არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი 14. სადადგმო კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი 15. კლასიკური და თანამედროვე სალიტერატურო–დრამატურგიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი 16. ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი 17. აზრის სასცენო მეტყველებაში გადატანის უნარი 18. მეტაფორული აზროვნების უნარი 19. სადადგმო კოლექტივთან: სცენოგრაფთან, კოსტუმების მხატვართან, კომპოზიტორთან, ქორეოგრაფთან, ტექნიკური პერსონალთან, დრამატურგთან მუშაობის უნარი 20. მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი 21. დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი 22. კონცეპტუალური აზროვნების უნარი 23. შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი 24. შემოქმედების პროცესში კრეატიული ლიდერის თვისებების გამოვლენის უნარი 25. შეთხზვის, ფანტაზიის უნარი 26. მსახიობთან მუშაობის დროს ტექსტში აზრის აღქმისა და ამოკითხვის უნარი 27. მსახიობის პროფესიის არსის ცოდნა 28. კვლევის (სარეჟისორო ექსპლიკაცია) სათანადო (საბაკალავრო–საბაკალავრო) დონეზე წარმართვის უნარი
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება</p> <p>შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p> <p>ამასთან, „თეატრის რეჟისურის“ საბაკალავრო პროგრამა ზემოაღნიშნული კომპეტენციების შედეგად განაპირობებს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას როგორც დასაქმების ბაზარზე, ასევე განათლების შემდგომ საფეხურზე. საშუალო სტატისტიკური მონაცემებით, პროგრამის</p>

	კურსდამთავრებულთა 60% დასაქმებულია სპეციალობის მიხედვით, ხოლო 20% სწავლას აგრძელებს მაგისტრატურაში (პროცენტის მაჩვენებლები აქ განპირობებულია იმით, რომ პროფესიონალ დამდგმელ რეჟისორთა დიდ ნაწილს სურვილი აქვს პრაქტიკულ-შემოქმედებითი მუშაობისა, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი ირჩევს შემდგომ აკადემიურ საფეხურს – შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლების მოსაპოვებლად)
--	---

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფი“
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ქორეოგრაფიული ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის ოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოდგადი უნარები, უცხო ენა) და შემოქმედებითი ტური
დასაქმების სფერო	ქორეოგრაფიული ანსამბლები, შოუ-პროგრამები; თეატრალურ და სატელევიზიო დადგმებსა და კინო გადაღებებში ქორეოგრაფიული ნომრების დადგმა-შესრულება, გასართობი ცენტრები; შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	დრამის ფაკულტეტის „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ქართული ხალხური ცეკვის დამდგმელს, რომელიც ფლობს პროფესიის განმსაზღვრელ საფუძვლებს. პროგრამა ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიის ფუნდამენტური კანონების შესწავლის შედეგად, უზრუნველყოფს დამდგმელ ქორეოგრაფად ჩამოყალიბებას. ამასთან, პროგრამა ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეში მოღვაწე პროფესიონალი სპეციალისტების აღზრდაზე. „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი

	<p>სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებს მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებას და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ – შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნაზე და ქმნის დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას. მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ეტიუდების, საცეკვაო ნომრის) და დამამთავრებელი, შემაჯამებელი ნამუშევრის წარმოდგენით.</p> <p>„ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, მუსიკალური და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას – მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დამდგმელი ქორეოგრაფი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, შემოქმედებითი ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.</p> <p>„ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიის ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა, რომელიც უზრუნველყოფს დამდგმელი ქორეოგრაფის მიერ ქორეოგრაფიული ხელოვნების არსის გაცნობიერებას, დარგის მთავარი პრინციპებისა და დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიულ-შემოქმედებითი საფუძვლების საბაზისო ცოდნას.</p>
--	--

	<p>როგრამის მიზანია, აგრეთვე, მის კურსდამთავრებულს გაუკვალოს გზა დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიის უმთავრესი მიზნის – მხატვრულ-შემოქმედებითი პროდუქციის – საცეკვაო ნომრის შექმნის, შემოქმედებითი პროცესის პროფესიულ დონეზე დაგეგმვისა და განხორციელებისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიულ-შემოქმედებითი ჩვევების ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. ამდენად, პროგრამის თითოეული მოდული, კურსი თუ სხვა კომპონენტი ემსახურება აღნიშნული მიზნის განხორციელებას (იხ. ქვემოთ). პროგრამა მიზნად ისახავს, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე დამდგმელი ქორეოგრაფის აღზრდას, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის.</p>
<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს ქორეოგრაფიული ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. აქვს ეროვნული ქორეოგრაფიული მემკვიდრეობის აკადემიური ცოდნა. გაცნობიერებული აქვს ქორეოგრაფიული ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: იცის ლიბრეტოს სცენაზე გადატანის უმთავრესი კანონზომიერებები. აცნობიერებს მოცეკვავე-მსახიობთან, შემოქმედებით კოლექტივთან (მუსიკოს- შემსრულებლებთან), შემოქმედებით პარტნიორებთან ურთიერთობის ნიუანსებს. იცის სცენაზე ორგანული მოქმედების დაგეგმვა, მსახიობ-მოცეკვავის ვერბალურ-პლასტიკური მოქმედების სწორად წარმართვა და მისი დაქვემდებარება მოცემული კონცეფციისა და შემოქმედებითი ამოცანისადმი. იცის, როგორ შექმნას შემოქმედებითი კონცეფცია, თითოეული საცეკვაო ილეთის – პერსონაჟის მხატვრული სახის გათვალისწინებით. იცის სარეპეტიციო პროცესის დაგეგმვა და ქორეოგრაფ – რეპეტიტორთან თანამშრომლობა.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს ლიბრეტოს გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს შემოქმედებითი კონცეფციის პრაქტიკულად ჩამოყალიბებისა და პრაქტიკული ხორცშესხმის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, აქვს როგორც შემოქმედებით ანსამბლთან, ასევე თითოეულ მსახიობ-მოცეკვავესთან ინდივიდუალური მუშაობის უნარი, საკონცერტო პროგრამის ფინანსური და კრეატიული ასპექტებით დაგეგმვის უნარი, აქვს ქორეოგრაფ-რეპეტიტორთან, კოსტიუმების მხატვართან, სცენოგრაფთან, კომპოზიტორთან, მხატვარ-გრიმიორთან, გამნათებელთან, დეკორატორთან და ა.შ. მუშაობის უნარი. აქვს მაცურებელზე ემოციური და ინტელექტუალური</p>

	<p>ზემოქმედების მიღწევის უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p> <p>გ) დასკვნის უნარი - დაგროვილი ცოდნისა და შეძენილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი. შეუძლია ქორეოგრაფიული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი (ლიბრეტოს შინაარსობრივი, კონცეპტუალური მხარე, იკონოგრაფიული მასალები, მხატვრული ჩანაფიქრი, ცეკვის ჩაწერა, , ნახაზების შექმნა და სხვ.) მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით და სადადგმო ჯგუფთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, მაყურებელთან. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით ქორეოგრაფიული ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. შეუძლია კომუნიკაცია როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ (პლასტიკის ენა) დონეზე. აქვს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე, აქვს საფესტივალო კომუნიკაციის გამოცდილება.</p> <p>ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს ქორეოგრაფიული ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, საკონცერტო პროგრამას, სანახაობრივ პროექტებს, სანახაობრივ ელემენტებს და სხვ. ადეკვატურად აფასებს ქორეოგრაფიული ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p> <p>დარგობრივი/პროფესიული კომპეტენციები:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ქორეოგრაფიის არსის გაცნობიერება 2. დამდგმელი ქორეოგრაფის პროფესიული საფუძვლების ფლობა 3. საცეკვაო ნომრის შექმნის უნარი
--	---

	<ol style="list-style-type: none"> 4. შემოქმედებით კოლექტივთან ურთიერთობა 5. ქორეოგრაფიული ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების ცოდნა 6. შემოქმედებითი თვითშეფასების უნარი 7. დრამატურგიული პირველწყაროს(ლიბრეტოს) ქორეოგრაფიული ანალიზი 8. ჟანრული მრავალგვარობის სტრუქტურული ცოდნა 9. არგუმენტირებული მსჯელობის, შემოქმედებით პროცესში დასკვნის გაკეთების უნარი 10. ქორეოგრაფიული ნომრის ინტერპრეტაცია 11. საცეკვაო კომპოზიციის აგების უნარი 12. სადადგმო კოლექტივთან დამოუკიდებელი მუშაობის პროფესიული უნარი 13. რეპეტიციების წარმართვის უნარი 14. კლასიკური და თანამედროვე ქორეოგრაფიული მონაპოვარის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი 15. ორგანიზატორულ – შემოქმედებითი უნარი 16. მსახიობ-მოცეკვავესთან მუშაობის უნარი 17. აზრის სასცენო პლასტიკაში გადატანის უნარი 18. მეტაფორული აზროვნების უნარი 19. სადადგმო კოლექტივთან: კოსტიუმების მხატვართან, სცენოგრაფთან, კომპოზიტორთან, მუსიკოს-შემსრულებლებთან, ტექნიკური პერსონალთან, მუშაობის უნარი 20. სცენასა თუ გადასაღებ მოედანზე ბრძოლების: ფარიკაობის, ხანჯლაობის, შუბოსნობის, _ საბრძოლო ხელოვნების ელემენტების დამოუკიდებლად დადგმისა და შესრულების უნარი. 21. ისტორიული კოსტიუმებისა და აქსესუარების სწორად გამოყენების უნარი 22. მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისა და შემოქმედებით პროცესში მისი ასახვის უნარი 23. დაკვირვებისა და შემოქმედებითად განჭვრეტის უნარი 24. კონცეპტუალური აზროვნების უნარი 25. შემოქმედებით პროცესში ექსტრემალურ სიტუაციებში სწრაფი გადაწყვეტილების მიღების უნარი 26. ლიდერის თვისებების შემოქმედებითად გამომუშავების უნარი 27. შეთხზვის, ფანტაზიის უნარი 28. ლოგიკურ – შემოქმედებითი აზროვნების უნარი 29. მსახიობ-მოცეკვავესთან მუშაობის დროს პლასტიკაში აზრის აღქმისა და ამოკითხვის უნარი 30. კვლევის (ცეკვის სადადგმო ექსპლიკაცია) სათანადო (საბაკალავრო-საბაზისო) დონეზე წარმართვის უნარი
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„ქართული ცეკვის დამდგმელი ქორეოგრაფის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება.</p>

	კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.
--	--

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება პროგრამული კონცენტრაცია „ ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორი“
საფეხური	ბაკალავრიატი
პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი
პროგრამის ოცულობა კრედიტებით	240 კრედიტი
სწავლის ხანგრძლივობა	8 სემესტრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	ერთიანი ეროვნული გამოცდები (საგნები: ქართული ენა და ლიტერატურა, ზოდგადი უნარები, უცხო ენა) და შემოქმედებითი ტური
დასაქმების სფერო	ხალხური სიმღერის გუნდი, საქართველოს ეკლესია-მონასტრები, შემოქმედებითი სტუდიები და სახელოსნოები; კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.
ზოგადი დახასიათება და პროგრამის მიზანი	„ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო აკადემიური პროგრამის სწავლების უზრუნველყოფა ხდება შემოქმედებითი სახელოსნოს პრინციპით. საგანმანათლებლო პროგრამა არის აკადემიური კვალიფიკაციის, მასში გათვალისწინებულია როგორც თეორიული კურსები, რომლებიც ავითარებენ მომავალი სპეციალისტის საბაზო ჰუმანიტარულ განათლებასა და განათლებას ხელოვნების სფეროში, - ასევე პრაქტიკულ-შემოქმედებითი კურსები, რომლებიც ორიენტირებულია „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ პროფესიისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეძენაზე და ქმნის დირიჟორის პროფესიის განმსაზღვრელ საფუძველს. პროგრამა ხელს უწყობს სტუდენტის შემოქმედებითი ინდივიდუალობის ფორმირებასა და განვითარებას. მეცადინეობები მიმდინარეობს უმაღლესი სასწავლებლის ყველა აკადემიური სახეობით: სალექციო, სემინარული, პრაქტიკულ-ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობების სახით, საკურსო ნამუშევრების (ხალხური

	<p>სიმღერა, გალობა)და დამამთავრებელი, შემაჯამებელი საკვალიფიკაციო შემოქმედებითი პროგრამის წარმოდგენით.</p> <p>„ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანი სრულად შეესაბამება საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ვექტორია ხელოვნების ფუნდამენტური დარგების (მათ შორის, პრიორიტეტულად თეატრალური, კინო-ტელე, ქორეოგრაფიული, სამუსიკო და სხვა) განვითარება და ამავე დარგების კვლევა. აღნიშნულ კონტექსტში „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სამუსიკო ხელოვნების განვითარებისთვის აუცილებელ პირობას</p> <ul style="list-style-type: none"> - მოამზადოს პროფესიონალი, მაღალკვალიფიციური დირიჟორი, რომელიც პროგრამის ათვისების შედეგად მიღებული როგორც პროფესიული, ასევე ზოგადი კომპეტენციებით ორიენტირებული იქნება დასაქმების ბაზრის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებზე არამხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით. <p>უნივერსიტეტი ახორციელებს, „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ სპეციალობის სტუდენტთა მიღებასა და მომზადებას ყოველწლიურად. საბაკალავრო პროგრამაზე მსურველთა მიღება ყოველ აკადემიურ ჯგუფში წარმოებს, საშუალოდ, 8-10 სტუდენტის ოდენობით, რაც, ასევე, განპირობებულია შრომის ბაზრის მოთხოვნებით. ამდენად „ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია შრომის ბაზრასა და მოთხოვნებზე.</p> <p>„ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო პროგრამის მიზანია – სტუდენტებს შეასწავლოს დირიჟორის პროფესიის ძირითადი ელემენტები, საბაზისო ცოდნა. გაუკვალოს გზა დირიჟორის პროფესიის უმთავრესი მიზნის – ხალხური სიმღერისა და გალობის საგუნდო კოლექტივის შექმნისაკენ; გამოუმუშაოს პროფესიული ჩვევების ათვისებისა და მათი პრაქტიკული რეალიზების უნარი. პროგრამა მიზნად ისახავს, აგრეთვე, როგორც ადგილობრივ, ასევე საზღვარგარეთის სახელოვნებო სივრცეზე ორიენტირებული თანამედროვე დირიჟორის აღზრდას, რომელიც მზად იქნება პროფესიული შემოქმედებითი საქმიანობისათვის როგორც ხალხური სიმღერის, ასევე ეკლესია- მონასტრებში სამგალობლო გუნდში სამოღვაწეოდ.</p>
--	--

<p>შედეგები</p>	<p>ა) ცოდნა და გაცნობიერება - აქვს სამუსიკო ხელოვნების თავისებურებების ფართო, საბაზისო ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამუსიკო ხელოვნების არსი, იცნობს დარგის მთავარ პრინციპებს: საგუნდო კოლექტივთან (ანსამბლთან) ურთიერთობის პრინციპები, მოქმედების სწორად წარმართვა და მისი დაქვემდებარება მოცემული ამოცანისადმი. იცის, როგორ უდირიჟოროს და მართოს ხალხურ სიმღერადა საეკლესიო გალობა, უხელმძღვანელოს საგუნდო კოლექტივს.</p> <p>ბ) ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს სიმღერისა თუ გალობის გააზრებისა და ინტერპრეტაციის უნარი, აქვს საკუთარ თავზე მუშაობის უნარი, სცენაზე ორგანული მოქმედების უნარი, აქვს შემოქმედებით ჯგუფთან/კოლექტივთან ურთიერთობის უნარი. აქვს მსმენელზე ემოციური ზემოქმედების უნარი, აქვს ობიექტური თვითშეფასების უნარი.</p> <p>გ) დასკვნის უნარი - დაგროვილი ცოდნისა და შექმნილი პროფესიულ-შემოქმედებითი უნარების ანალიზის საფუძველზე აქვს ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებისა და შემოქმედებითი საქმიანობის დაგეგმვის უნარი. შეუძლია სამუსიკო ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ინდივიდუალობა, მონაცემების შეგროვება, განმარტება და მათი სისტემატიზაცია-კლასიფიკაცია. ასევე, აღნიშნულ კონტექსტში არსებული გამოცდილების, მიღწევების, მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p>დ) კომუნიკაციის უნარი - აქვს კომუნიკაციის უნარი შემოქმედებით კოლექტივთან, კოლეგებთან, დარგის სპეციალისტებთან, პარტნიორებთან, მაყურებელთან. აქვს ამ უკანასკნელთან ბილატერალური კავშირის უნარი. იცნობს და თავისუფლად იყენებს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს, განსაკუთრებით სამუსიკო ხელოვნების სფეროში, შეუძლია მათი შემოქმედებითად გამოყენება, საჯარო დემონსტრირება. შეუძლია კომუნიკაცია როგორც ვერბალურ, ასევე არავერბალურ დონეზე. აქვს წერიტი და ზეპირი კომუნიკაციის საბაზო უნარ-ჩვევები როგორც ქართულ, ასევე უცხო ენაზე.</p> <p>ე) სწავლის უნარი - შეუძლია გამოიყენოს სასწავლო რესურსების სრული სპექტრი. გეგმავს და ახორციელებს საკუთარი სწავლისა და შემდგომი პროფესიული/შემოქმედებითი ზრდისა და დაოსტატების</p>
-----------------	---

	<p>პროცესს. შეუძლია საკუთარი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლისა და შემოქმედებითი დაოსტატების საჭიროებების დადგენა.</p> <p>ვ) ღირებულებები - მონაწილეობს სამუსიკო ხელოვნების ღირებულებების ფორმირების პროცესში და თავად ქმნის ღირებულებებს: კერძოდ, ხალხური სიმღერების, საეკლესიო საგალობლების და სხვა სამემსრულებლო სფეროში. ადეკვატურად აფასებს სამუსიკო ხელოვნების პროფესიულ ღირებულებებსა და მიღწევებს.</p> <ol style="list-style-type: none"> 1. სასიმღერო - სამგალობლო ტექსტის ფორმისა და მხატვრული შინაარსის შეგრძნების უნარი 2. შემოქმედებითი პროცესის ორაგნიზებისა და მართვის უნარი. 3. ტემბრის ბალანსირების უნარი. 4. მკაფიო და გამართული სასიმღერო მეტყველების უნარი 5. სიმღერა/გალობის ტემპო-რიტმის შეგრძნება; 6. მუსიკალური ჟანრის თავისებურებათა შეგრძნების უნარი 7. დირიჟორთან, პარტნიორთან თანამშრომლობის უნარი 8. მაყურებელთან კომუნიკაციის უნარი 9. მუსიკალური ჟანრის თავისებურებათა შეგრძნების უნარი. 10. ვოკალური მონაცემების ფართო ჟანრული დიაპაზონის ფლობის უნარი 11. დარეგულირებული სასიმღერო ხმა და სუნთქვა 12. დირიჟორის ჩანაფიქრისა და გადაწყვეტის რეალიზაციის უნარი 13. სასიმღერო-სამგალობლო სპეციფიკის ზოგადი ცოდნა 14. ვოკალური ტექნიკის ფლობის უნარი 15. ხმის, სუნთქვის რეგულაციის უნარი 16. ისტორიული კოსტიუმებისა და აქსესუარების სწორად გამოყენების უნარი 17. გარდასახვის უნარი; 18. ყურადღების კონცენტრირების უნარი
<p>პროგრამის განვითარება</p>	<p>„ქართული ხალხური და საეკლესიო გუნდის დირიჟორის“ საბაკალავრო პროგრამის განვითარება შესაძლებელია შემდგომი აკადემიური ხარისხის მოპოვებით სამაგისტრო დონეზე, თუ სტუდენტს სურვილი და მოტივაცია აქვს მოიპოვოს შემდგომში შემოქმედებითი პედაგოგიური მუშაობის უფლება. კურსდამთავრებულის საბაკალავრო კომპეტენციები უზრუნველყოფს მის უფლებას – სწავლა გააგრძელოს შემდგომ საფეხურზე – მაგისტრატურაში.</p>